ხელშეკრულება № 57
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბათუმი „26"„05"2012წ.

ერთის მხრივ, შპს „მგზავრები ბათუმი 2012"-ს (შემდგომში „შემსრულებელი"), წარმომადგენელი ბესიკ კოხრეიძეს სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი" (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა შემსრულებლის მიერ ცენტრის სტუმრების (ორი ადამიანი ერთი ღამით; ნომრის რაოდენობა: - 2 ერთადგილიანი) სასტუმრო მომსახურებით უზრუნველყოფისას CPV–55100000.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 160 (ასსამოცი) ლარისა ლარ-ს და ყველა გადასახადის ჩათვლითპ;

3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1. „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; საქართველოს კანონი;
3.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი;

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ა.წ. 26-27 მაისს;
4.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ.ბათუმი.

5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევა დასტურდება შესაბამის აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერით;

6. ანგარიშსწორების ფორმა ვადები და ადგილი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ;
6.2. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 30 მაისის ჩათვლით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

8.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;
8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულაბასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
9.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის წარმომადგენელი;
9.3. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს;
9.4. დარღვევების აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ზელშეკრულების მოქმედების ვადაში შემსრულებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას;
12.2 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისთვის უფლებების გადაცემა;
12.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;
12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ისეთ შემთხვევებში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსრულებლს, მეორე კი დამკვეთს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი

შპს „მგზავრები ბათუმი 2012“-ის
წარმომადგენელი ბესიკ კოხრეიძე

----------ბ. კოხრეიძე

ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
ვაჟა ფშაველას სერვის ცენტრი
ბანკის კოდი MBGGE22
საიდ.კოდი 445403331
ანგ.№ GE42PC0453600100002970
ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის ქ.10

დამკვეთი

სსიპ „კონსტიტუციონალიზმის
კვლევისა და ხელშეწყობის
რეგიონალური ცენტრი“-ს
ხელმძღვანელი

----------ა.დემეტრაშვილი

სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი 0516
საიდ/კოდი 204578242
ქ. ბათუმი მელაშვილის ქ. №26